საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 376 2025 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

„სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფოთაშორისი გაცვლის შესახებ“ შეთანხმების მოქმედების საქართველოსთვის შეწყვეტის თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოსთვის შეწყდეს „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფოთაშორისი გაცვლის შესახებ“ 1992 წლის 26 ივნისის შეთანხმების მოქმედება.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, დაუყონებლივ აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების მოქმედების საქართველოსთვის შეწყვეტის თაობაზე;

ბ) „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურად აცნობოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ კომიტეტს ამ განკარგულების პირველ პუნქტში

აღნიშნული შეთანხმების მოქმედების საქართველოსთვის შეწყვეტის თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე